



CENN

კონკურსი საკონსულტაციო მომსახურების მისაღებად

გეოპარკის პოტენციური ტერიტორიების რეგიონული შეფასება



CENN აცხადებს კონკურსს საკონსულტაციო მომსახურების მიღებაზე, პროექტის - *კავკასიის გეოპარკების ქსელის პროგრამა* ფარგლებში, რომელიც ხორციელდება *შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC)* ფინანსური მხარდაჭერით.



<p>ფონური ინფორმაცია და კონტექსტი</p>	<p>სამხრეთ კავკასიის გეოპარკების ქსელის პროგრამა არის გრძელვადიანი ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს პირველი ტრანსსასაზღვრო გეოპარკების ქსელის შექმნას სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში და მის ნომინირებას UNESCO-ში. 18-თვიანი საწყისი ეტაპის (2024 წლის დეკემბერი – 2026 წლის მაისი) განმავლობაში პროექტი აძლიერებს პარტნიორობას და ხელს უწყობს რეგიონულ თანამშრომლობას სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანას შორის. ინიციატივა ფოკუსირებულია რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვან გეოლოგიურ და ბუნებრივ ობიექტების გამოვლენაზე და მათ მდგრად მართვაზე, რაც ხელს შეუწყობს ამ ტერიტორიებზე და მის სიახლოვეს არსებული დასახლებების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და მათ განათლების, მდგრადი ტურიზმისა და მწვანე ეკონომიკის, ეკოლოგიური მდგრადობისა და რეგიონული თანამშრომლობის ცენტრებად გადააქცევს. გეოპარკები გახდებიან კონსერვაციისა და კულტურული იდენტობის სიმბოლოები, ხოლო სამხრეთ კავკასია — ტრანსსასაზღვრო მემკვიდრეობის დაცვის მოდელი რეგიონულ და გლობალურ დონეზე.</p> <p>პროექტის მიზნებისა და ამოცანების შეასრულებლად დაგეგმილია რეგიონული შეფასების ჩატარება, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მონაცემების შეგროვებას შერჩეული გეოსაიტების საზღვრების დაზუსტებისა და იუნესკოს გეოპარკების კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ამისთვის CENN ემეხსოვრება პროფესიონალთა ჯგუფს, რომელიც წარმოადგენს ზემოხსენებული მიზნებისთვის შესაბამის კვლევას.</p>
<p>მიზანი და ზოგადი ამოცანები</p>	<p>კონტრაქტორმა უნდა შეისწავლოს შემოთავაზებული ტერიტორიების გეომემკვიდრეობა, მათი საერთაშორისო მნიშვნელობა და გეოპარკების ეროვნულ საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მრავალმხრივი, მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი კრიტერიუმების საფუძველზე შემუშავებული გეოპარკის განვითარების კონცეფცია, კვლევებით დასაბუთებულ გეოგრაფიულ საზღვრებში. საქართველოში შემოთავაზებული გეოსაიტები უნდა მოიცავდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბოლნის - დმანისის გეოსაიტი <p>კონცეფციის შექმნისთვის და მისი დასაბუთებებისთვის კონტრაქტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის გეოლოგიური მემკვიდრეობის კონსერვაციასთან ერთად, გეოპარკი ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას გეოტურიზმის პროდუქტების შექმნით და უზრუნველყოფს ახალი საგანათლებლო პროგრამების დანერგვას.</p> <p>თავის გეოგრაფიულ საზღვრებში გეოპარკის შექმნისა და UNESCO-ს გლობალური გეოპარკების სახელმძღვანელო კრიტერიუმებთან შესაბამისობის დასაბუთებისთვის კონტრაქტორმა უნდა გამოიყენოს კაბინეტური და საველე კვლევისა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის ფორმები</p> <ul style="list-style-type: none"> • არსებული მონაცემების, ანგარიშების, რუკებისა და სტრატეგიების განხილვა. • საველე სამუშაოების ორგანიზება გეოპარკის პოტენციურ ტერიტორიაზე, რაც მოიცავს მონაცემების გადამოწმებას და დამატებითი ინფორმაციის შეგროვებას.



	<ul style="list-style-type: none"> ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა; შეფასების შედეგების წარდგენა და განხილვა პროექტის სამუშაო ჯგუფებთან.
დავალების აღწერა	<p>ა) საერთაშორისო მნიშვნელობის გეომემკვიდრეობა:</p> <p>გეოლოგიური და გეომორფოლოგიური შეფასების მიზანია შემოთავაზებულ გეოსაიტების ძირითადი გეომემკვიდრეობის მახასიათებლების იდენტიფიცირება და ანალიზი, როგორც მათი საკონსერვაციო, ასევე სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით.</p> <p>ამოცანები:</p> <ul style="list-style-type: none"> გეოლოგიური მახასიათებლების ჩამონათვალი და გეოპარკის საზღვრების დადგენა; გეოლოგიური ფენომენის შეფასება: <ul style="list-style-type: none"> ღირებულების გაანალიზება, საგანმანათლებლო პოტენციალი (მაგ. გეოტურიზმი ან სასკოლო პროგრამები) მათ შორის ესთეტიკური მიმზიდველობა ვიზიტორთათვის. გეომემკვიდრეობის საფრთხეების გამოვლინება გეოსაიტებზე, როგორიცაა ბუნებრივი დეგრადაცია ან ანთროპოგენური ზემოქმედება და შესაბამისი დაცვის ზომების შეთავაზება (ინვენტორული რუკა). <p>შეფასებები უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილ გეომემკვიდრეობის მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს</p> <p>გეგმარებითი ტერიტორიების შეფასება უნდა ასახავდეს შემდეგს:</p> <ol style="list-style-type: none"> რეპრეზენტატულობა: მნიშვნელოვანი ობიექტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას დედამიწის ევოლუციის, მათ შორის დედამიწის კლიმატისა და სიცოცხლის შესახებ რეგიონულ თუ გლობალურ კონტექსტში. იშვიათობა: იშვიათი ან განსაკუთრებული ობიექტი, რომლის მსგავსი სხვაგან თითქმის ან საერთოდ არ მოიძებნება. ტერიტორიის გეოლოგიური ღირებულება: მსოფლიოში აღიარებულია სტრატეგრაფიაში, პალეონტოლოგიაში, მინერალოგიაში, პეტროლოგიაში, გეოდინამიკასა, თუ გეომორფოლოგიაში მისი მნიშვნელობის გამო. მტკიცებულებები და სამეცნიერო ცოდნა: ტერიტორიები, რომელთა შესახებაც მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია არსებობს ან რომლებსაც გეოლოგიურ მეცნიერებებში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ. მიწათსარგებლობის ანალიზი: არსებული სივრცითი მონაცემების ანალიზი (საკადასტრო რუკები, მუნიციპალური და ეროვნული მიწათსარგებლობის გეგმები);



- დეტალური რუკების შედგენა მიწათსარგებლობის ტიპების მიხედვით შემოთავაზებული გეოპარკის საზღვრებში, მათ შორის:
 - სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები (საძოვრები, ვენახები, სახნავი მიწები);
 - ტყეები და ტყის მასივები;
 - წყლის ობიექტები და ჭაობიანი ადგილები;
 - დასახლებები;
 - ინდუსტრიული ან სამთო-მოპოვებითი ზონები;
 - ბუნებრივი ძეგლები ან დაცული ტერიტორიები;
 - მიწის საკუთრების სამართლებრივი ფორმები;
 - მიწათსარგებლობის კონფლიქტები (მაგალითად, გადაჭარბებული ძოვება, მოპოვებითი საქმიანობა, ხე-ტყის ჭრა) და მათი თავსებადობა გეოპარკის მიზნებთან;
 - საველე გადამოწმება ადგილობრივ ხელისუფლებებთან და მიწის მომხმარებლებთან თანამშრომლობით;
 - შემოთავაზოს ზონირების რეკომენდაციები (მაგალითად, კონსერვაციის ზონები, ბუფერული ზონები, ტურისტული გამოყენების ზონები);

კრიტერიუმების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ, იხილეთ: [UNESCO Geoparks Checklist](#).

გეგმარებითი ტერიტორიების საერთაშორისო მნიშვნელობა დგინდება მათი განსაკუთრებული გეოლოგიური მახასიათებლებითა და კონტრიბუციით რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში:

1. დედამიწის ისტორია და სიცოცხლის ევოლუცია
2. ტექტონიკური სისტემები
3. ეროზიული სისტემები
4. ვულკანური სისტემები
5. ფლუვიალური და ლაკუსტური სისტემები
6. მღვიმეები და კარსტული სისტემები
7. სანაპირო სისტემები
8. გლაციალური და პერიგლაციალური სისტემები
9. უდაბნო და ნახევარუდაბნო სისტემები
10. ნიადაგის ტიპები

შედეგები:

- ყოვლისმომცველი აღწერა რუკებით, დადგენილი გეგმარებითი საზღვრებით, ფოტოებითა და დახასიათებით.
- გეოლოგიური მრავალფეროვნების ანალიზი, კონსერვაციული სტატუსი და შედარება UNESCO-ს გლობალურ გეოპარკებთან.



ბ) ბიომრავალფეროვნების კვლევები:

გეოპარკის ტერიტორიების ეკოლოგიური სიმდიდრისა და კონსერვაციის საჭიროებების შეფასება ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილების იდენტიფიცირებისა და დაცვის მიზნით.

ამოცანები:

- **ფლორისა და ფაუნის კვლევები:**

- კაბინეტური კვლევების ჩატარება ფლორისა და ფაუნის სახეობების, მათ შორის ენდემური, იშვიათი ან საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების დოკუმენტირებისთვის.
- შემოთავაზებული გეოპარკის ტერიტორიების ფარგლებში ჰაბიტატების რუკაზე აღნიშვნა.

- **საფრთხეების ანალიზი:**

- ბიომრავალფეროვნებისთვის არსებული ან პოტენციური საფრთხეების იდენტიფიცირება, მათ შორის ჰაბიტატის ფრაგმენტაცია, ინვაზიური სახეობები ან ბუნებრივი რესურსების ჭარბი გამოყენება.

შედეგები:

- ბიომრავალფეროვნების აღწერა სახეობების სიებით, ჰაბიტატების რუკებითა და კონსერვაციის რეკომენდაციებით.
- ეკოსისტემური სერვისების ანალიზი.

გ) სოციო-ეკონომიკური ზემოქმედების კვლევები:

შეფასება, თუ როგორ იმოქმედებს გეოპარკის სტატუსის მინიჭება ადგილობრივ ეკონომიკაზე, თემებზე და საარსებო წყაროებზე, პოტენციური გამოწვევების შერბილების სტრატეგიების იდენტიფიცირებით.

ამოცანები:

- **სოციო-ეკონომიკური ანალიზი:**

- მიმდინარე სოციო-ეკონომიკური პირობების შეფასება თემებში, რომლებიც მდებარეობს შემოთავაზებულ გეოპარკის ტერიტორიებზე ან მის მიმდებარედ.
- მიწათსარგებლობის ანალიზი.
- სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის წყაროების შექმნის და მდგრადი ტურიზმის შესაძლებლობების გამოვლენა.



- **ტურიზმის პოტენციალი და რისკები:**

- გეოტურიზმისა და ეკოტურიზმის აქტივობების განვითარების პოტენციალის შეფასება.
- ისეთი რისკების შესწავლა, როგორებიცაა რესურსების ჭარბი გამოყენება და/ან ვიზიტორთა მართვის სირთულე.

- **თემის ჩართულობა:**

- ადგილობრივ თემებთან თანამშრომლობა კონსულტაციებისა და მონაწილეობითი სემინარების მეშვეობით, მათი პერსპექტივებისა და პრიორიტეტების გასაგებად.
- სარგებლის სამართლიანი განაწილებისა და უარყოფითი ზემოქმედების შემცირების სტრატეგიების განსაზღვრა.

შედეგები:

- ანგარიში სოციო-ეკონომიკურ პირობებზე, შესაძლებლობებზე და გამოწვევებზე;
- რეკომენდაციები გეოტურიზმის განვითარებისა და ტურისტულ სერვისებში თემის მდგრადი ჩართულობისთვის.

დ) კულტურული მემკვიდრეობის შეფასებები:

კამერალური კვლევები გეოპარკის ტერიტორიების კულტურული და ისტორიული სიმდიდრის შესაფასებლად, ბუნებრივი/გეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის საგანმანათლებლო და ტურისტული მიზნებისთვის ინტეგრაციაზე ფოკუსირებით.

ამოცანები:

- **კულტურული ძეგლების აღრიცხვა:**
 - შემოთავაზებული გეოპარკის ტერიტორიებზე არქეოლოგიური ადგილების, ისტორიული ღირსშესანიშნაობებისა და ტრადიციული პრაქტიკის აღრიცხვა.
 - კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მდგომარეობის, ხელმისაწვდომობისა და მნიშვნელობის შეფასება.
- **თემის ტრადიციები და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა:**
 - კულტურული მემკვიდრეობის როლის შეფასება ადგილობრივ იდენტობასა და ტრადიციებში.
 - სტრატეგიების შემუშავება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში საზოგადოების ჩართულობის გასაძლიერებლად.
- **საგანმანათლებლო ღირებულება:**
 - გეოპარკის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის საგანმანათლებლო და შემეცნებითი პოტენციალის დასაბუთება.



	<p>შედეგები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა. • გეოტურიზმსა და საზოგადოების საგანმანათლებლო ინიციატივებში კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ინტეგრირების რეკომენდაციები. <p>ე) UNESCO-ს გლობალური გეოპარკების სახელმძღვანელო პრინციპებთან და კრიტერიუმებთან საქართველოს ეროვნული პოლიტიკისა და კანონმდებლობის შესაბამისობის სამართლებრივი ანალიზი.</p> <p>შეფასება უნდა მოიცავდეს როგორც კამერალურ კვლევებს ისე საველე გასვლებს.</p> <p>შეფასება უნდა განხორციელდეს გეოპარკის საერთაშორისო სპეციალისტთან კონსულტაციის საფუძველზე, ეროვნულ გეო-საბჭოსთან და CENN-ის გუნდთან კოორდინაციით, რომლებიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფენ საჭირო კოორდინაციას ბილატერალურ დონეზე.</p>
<p>საბოლოო შედეგები</p>	<ul style="list-style-type: none"> • კვლევის დეტალური მეთოდოლოგია, სამუშაო გეგმა და წინასწარი ანალიზი. • გეოლოგიური და გეომორფოლოგიური შეფასების ანალიზი <ul style="list-style-type: none"> ○ გეოლოგიური და გეომორფოლოგიური მახასიათებლების აღრიცხვა, აღწერილობებით, ფოტოებითა და რუკებით. ○ ტერიტორიის გეოლოგიური რესურსების აღწერა, შემდეგი მაჩვენებლების მითითებით: <ul style="list-style-type: none"> ▪ გეოსაიტების რაოდენობა და აღწერა; ▪ გეომრავალფეროვნება; ▪ არსებულ UNESCO-ს გეოპარკების გეოლოგიასთან შედარება; ▪ გეოლოგიური ადგილების მიმდინარე ან პოტენციური საფრთხეები მათი შენარჩუნებისა და მოვლის თვალსაზრისით; ▪ გეოპარკის საზღვრები. • ბიომრავალფეროვნების შეფასების ანალიზი <ul style="list-style-type: none"> ○ ფლორის, ფაუნისა და ჰაბიტატების ეკოლოგიური აღწერა კონსერვაციის პრიორიტეტების ხაზგასმით. • სოციო-ეკონომიკური კვლევის ანალიზი <ul style="list-style-type: none"> ○ ადგილობრივი ეკონომიკური პირობების, მიწათსარგებლობის, ტურიზმის პოტენციალისა და გეოპარკის სტატუსის მინიჭების სოციო-ეკონომიკური ზემოქმედების ანალიზი. • კულტურული მემკვიდრეობის შეფასების ანალიზი <ul style="list-style-type: none"> ○ კულტურული და ისტორიული აქტივების, მათ შორის საზოგადოებრივი კავშირების სრულად აღრიცხვა. • საზღვრების დადგენის ანალიზი და რუკები <ul style="list-style-type: none"> ○ მეცნიერული, ეკოლოგიური და კულტურული არგუმენტებით დასაბუთებული საზღვრების მკაფიო რუკები, იუნესკოს მოთხოვნების შესაბამისად. • საბოლოო ანალიზი <ul style="list-style-type: none"> ○ კონსოლიდირებული დასკვნები, იუნესკოს გეოპარკად ნომინაციის არგუმენტები და ქმედითი რეკომენდაციები. ○ გეოლოგიური აღწერა.



	<ul style="list-style-type: none"> გეოლოგიური ადგილებისა და მახასიათებლების დაცვის სტრატეგია და კანონმდებლობა. გეოსაიტების დაცვა არასწორი გამოყენებისა და ზიანისგან. გეოსაიტების და ინფრასტრუქტურის დაზიანებისა და ბუნებრივი დეგრადაციისგან დაცვის ზომები. ტერიტორიული ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის აღწერა, რომელიც ეფუძნება შემდეგ ინდიკატორებს: ა) ბუნებრივი ღირებულება (ესთეტიკა, ბიომრავალფეროვნება); ბ) კულტურული მემკვიდრეობა; გ) ბუნებრივ რესურსებსა და კულტურულ მემკვიდრეობას შორის ურთიერთობა. ეკონომიკური შეფასება და გეოტურიზმის პოტენციალი. რა ეკონომიკური მამოძრავებელი ფაქტორები და პოტენციალი არსებობს. საზოგადოებრივი განათლებისა და კვლევის პოტენციალი. ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობის პოტენციალი გეოპარკის ეკონომიკურ და კონსერვაციულ საქმიანობაში. საზღვრები: გეოსაიტების საზღვრების იდენტიფიცირება და მისი კვეთა სხვა ტიპის ტერიტორიულ ერთეულებთან (ადმინისტრაციული საზღვრები, ეროვნული პარკი და ა.შ.). გეოლოგიური მემკვიდრეობისა და გეომრავალფეროვნების მართვის სტრატეგიები; ბუნების დაცვის ყოვლისმომცველი პოლიტიკა; ტერიტორიული დაგეგმარება, მათ შორის გეოკონსერვაცია.
სამუშაოს ადგილმდებარეობა	ქვემო ქართლი
დავალების სავარაუდო დაწყების და დასრულების პერიოდი	სექტემბერი - ნოემბერი, 2025 (3 თვე)
კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია (იურიდიული პირი)	<ol style="list-style-type: none"> ფინანსური წინადადება <ul style="list-style-type: none"> დავალების აღწერის მიხედვით ხარჯის დეტალური განაწილება. სერვისის მთლიანი ღირებულება, დღგ-ს გარეშე. ბიუჯეტმა უნდა მოიცვას ტრანსპორტირება, განსახლება და გაუთვალისწინებელი ხარჯები (Annex_2_Budget_Geoparks). კვალიფიკაცია და გამოცდილება <ul style="list-style-type: none"> პროექტზე მინიჭებული ექსპერტის CV, რომელიც ხაზს უსვამს მათ შესაბამის კვალიფიკაციას, უნარებსა და წარსულ გამოცდილებას და დაკავშირებულია სამუშაოს მოცულობასთან. წარსული პროექტების პორტფოლიო: დოკუმენტირებული მაგალითები წინა სამუშაოებისა, განსაკუთრებით მსგავსი მოცულობისა და სირთულის პროექტები.



	<p>3. სერთიფიკატები და აკრედიტაციები: ნებისმიერი შესაბამისი სერთიფიკატი, ნებართვა ან პროფესიული აკრედიტაცია, რომელიც აჩვენებს განმცხადებლის კვალიფიკაციას და ინდუსტრიის სტანდარტებთან შესაბამისობას.</p> <p>4. პროექტის შესრულების აღწერა და განრიგი, რომელიც მოიცავს დავალების ყველა ეტაპს (Annex_1_Geoparks_Potential_Geosites_Regional_Assessment).</p>
კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია (ექსპერტების კონსორციუმი ან ფიზიკური პირი)	<p>1. ფინანსური წინადადება</p> <ul style="list-style-type: none"> დავალების აღწერის მიხედვით ხარჯის დეტალური განაწილება. სერვისის მთლიანი ღირებულება, საშემოსავლო გადასახადებისა და საპენსიო გადასახადის ჩათვლით. ბიუჯეტმა უნდა მოიცავს ტრანსპორტირება, განსახლება და გაუთვალისწინებელი ხარჯები (Annex_2_Budget_Geoparks). <p>2. კვალიფიკაცია და გამოცდილება</p> <ul style="list-style-type: none"> პროექტზე მინიჭებული ექსპერტის CV, რომელიც ხაზს უსვამს მათ შესაბამის კვალიფიკაციას, უნარებსა და წარსულ გამოცდილებას, და დაკავშირებულია სამუშაოს მოცულობასთან. წარსული პროექტების პორტფოლიო: დოკუმენტირებული მაგალითები წინა სამუშაოებისა, განსაკუთრებით მსგავსი მოცულობისა და სირთულის პროექტები. <p>3. სერთიფიკატები და აკრედიტაციები: ნებისმიერი შესაბამისი სერთიფიკატი, ნებართვა ან პროფესიული აკრედიტაცია, რომელიც აჩვენებს განმცხადებლის კვალიფიკაციას და ინდუსტრიის სტანდარტებთან შესაბამისობას.</p> <p>4. პროექტის შესრულების აღწერა და განრიგი, რომელიც მოიცავს დავალების ყველა ეტაპს (Annex_1_Geoparks_Potential_Geosites_Regional_Assessment).</p>
დაინტერესების გამოხატვის ბოლო ვადა	<p>დაინტერესებულ პირებს წინადადების გამოგზავნა შეუძლიათ 2025 წლის 3 სექტემბრის ჩათვლით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:</p> <p>tenders@cenn.org; ana.tsanava@cenn.org.</p>
შეფასების კრიტერიუმები	<ul style="list-style-type: none"> - ფინანსური შემოთავაზება მაქსიმალური ქულა – 30 - აპლიკანტის კვალიფიკაცია მაქსიმალური ქულა – 50 - ვადები და მეთოდოლოგია მაქსიმალური ქულა - 20